



# ზოონოზოლოგიის ლაბორატორია

## ზოონოზოლოგიის ლაბორატორია

ქვეყანაში კეთილსამედო მდგომარეობის შესანარჩუნებლად და ეპიდსიტუაციის გართულების თავიდან ასაცილებლად, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ლუგარის სუ კვლევითი ცენტრის ბიოსაფრთხოების და განსაკუთრებით საშიში პათოგენების დეპარტამენტის ზოონოზოლოგიის ლაბორატორია ახორციელებს საქართველოში გავრცელებული ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში ვექტორების ბიომრავალფეროვნების, პოპულაციის ზომების და გავრცელების არეალის შესწავლას. ზოონოზოლოგიური ლაბორატორია ეპიდემიოლოგიის პროგრამის მალარიის კომპონენტის ფარგლებში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ტრანსმისიული დაავადებების პროფილაქტიკურ და პრევენციულ ღონისძიებებში. ლაბორატორიის ძირითადი ფუნქციაა ვექტორების: ფლებოტომუსების (Phlebotomus); კოლოების (Anopheles, Aedes, Culex) ყველა ფაზის შერევა, შენახვა და ფაუნისტური მასალის გარკვევა. სეზონურად გადამტანებზე ფენოლოგიური დაკვირვების წარმოება და ცალკეული სახეობების ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობის შეფასება.

ოთხმოციან წლებში დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში იყო დასავლეთ ნილოსის ცხელების ეპიდემიოლოგია. ზოოპარაზიტოლოგიური განყოფილება ამ პერიოდში სეზონურად ყოველწლიურად შეისწავლიდა პოლიტიპურ სახეებს Cx pipiens, რომელიც განსაკუთრებით ფართო ეკოლოგიური დიაპაზონით გამოირჩევა.

## კოლოს ორი სახეობის აღმოჩენა

2014 წლის აგვისტოში, ქ. ბათუმში, ენტომოლოგთა ჯგუფმა „დენგეს ვირუსითა და სხვა არბოვირუსებით გამოწვეული ცხელებებით მიმდინარე დაავადებების ეპიდემიოლოგია საქართველოში“ პროექტის ფარგლებში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად აღმოაჩინა კოლოს ორი სახეობა: Aedes albopictus, Aedes aegypti. ორივე სახეობა არაენდემურია. გადამტანებზე ეფექტური კონტროლის მიზნით მუდმივად, სეზონურად მიმდინარეობს მათ პოპულაციებზე მონიტორინგი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში, ქვემო და შიდა ქართლში, კახეთში. ინვაზიური კოლოს ორივე სახეობის აღმოჩენამ და ცენტრის მიერ შესაბამისი რეკომენდაციის პაკეტის მომზადებამ, შესაძლებელი გახდა 2015-2016 წლებში საქართველოს შავიზღვისპირა საკურორტო ზონაში ტრანსმისიური დაავადებების გადამტანების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების ეფექტურად დაგეგმვა და განხორციელება.

ლუგარის სუ კვლევითი ცენტრი მუდმივად სრულყოფს კვლევების მეთოდებს თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების შესაბამისად. გენოტიპირება, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში მნიშვნელოვანი და საყოველთაოდ მიღებული მეთოდია. იმისათვის, რომ ზუსტად მოხდეს ვექტორის შესწავლა, უფრო მეტი გავიგოთ ვექტორების ეკოლოგიის შესახებაც, ცენტრში მიმდინარეობს ამ მეთოდის – სახეობების იდენტიფიცირება დნმ შტრიხკოდის მეშვეობით (ანუ გენეტიკური სეკვენირება) – დანერგვა. მისი გამოყენებით შესაძლებელი გახდება ბიოლოგიური, სამედიცინო, ასევე სოციალურ-ეკონომიკური მიზნებისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის – საქართველოში დაავადების გადამტანი ვექტორების ეკოლოგიური და ბიოლოგიური თვისებების შესწავლა, გენოტიპირება და გენბანკის შექმნა.



## პროექტები

ყოველწლიურად გვემიურად მიმდინარე ტრანსმისიული დაავადებების გადამტანებზე ეპიზოოტოლოგიური მონიტორინგის გარდა ცენტრში ხორციელდება მნიშვნელოვანი სამეცნიერო პროექტები კოლოსა და ფლებოტომუსების (Phlebotomus) ფაუნისტური მასალის შესწავლაზე. იკვლევა მათი ბუნებრივი ჰაბიტატები, დგინდება გავრცელების არეალი, შეისწავლება მათ შორის მასობრივი, ლოკალურად მასობრივი და ზომიერად გავრცელებული სახეობები. განისაზღვრება მუმლის კომპონენტში მათი როლი.

გლობალური ფონდის დაფინანსებით დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა განახორციელა ორი პროექტი, რომლებშიც აქტიურად იყვნენ ჩართული ზოონოზოლოგიური ლაბორატორიის ენტომოლოგები.

1. მალარიის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2004-2006 წწ.;
2. მიღწეული შედეგების კონსოლიდაცია მალარიის ეპიდემიის თავიდან აცილება“ 2007-2012 წლებში.



განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, 2004 წ-დან ქვეყანაში მიღწეული იქნა მალარიის შემთხვევების თანმიმდევრული შემცირება. 2002–2009 წლამდე რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობა შემცირდა 472-დან 1-მდე, ხოლო 2010 წლის შემდეგ მალარია, როგორც ადგილობრივი დაავადება საქართველოში ელიმინირებულია.

გასული საუკუნის 90-იან წლებში განსაკუთრებით დიდი იყო სამედიცინო და სოციალურ-ეკონომიკური ზარალი, რაც ვისცერული ლეიშმანიოზის კერების გააქტიურებას მოყვა. ცენტრის ზოონოზოლოგიური ლაბორატორიის სპეციალისტები 2005 წლიდან მონაწილეობდნენ სამეცნიერო პროექტებში, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ლეიშმანიოზის ბუნებრივი ტრადიციულად აღიარებული კერების ფაუნისტური მასალის შესწავლაში. დადგენილი იქნა ახალი ბუნებრივი კერის არსებობა დასავლეთ საქართველოში, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ლეიშმანიოზის კერების აღიარებულ საზღვრებზე ადრეული შეხედულებები, მისი შესაძლო გაფართოების პერსპექტივები.

ინვაზიური კოლოების  
Aedes albopictus,  
Aedes aegypti-ის  
ჰაბიტატებში მუშაობისას

